# საქართველოს მთავრობის

## განკარგულება №1569

## 2016 წლის 2 აგვისტო

## ქ. თბილისი

## სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის $2^3$ პუნქტის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 220 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმის“ მშენებლობის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ (ს/კ: 204995176) მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №21.08.36.297; №21.01.37.365; №21.01.37.363; №21.01.36.348; №22.26.12.325; №21.08.37.234; №21.08.36.300; №21.08.36.298; №21.06.34.382; №21.01.37.368; №22.26.11.103; №22.26.11.102; №22.26.11.101; №22.26.11.100; №22.26.11.099; №22.26.11.098 და №22.26.11.096) არსებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) ჩვეულებრივი წაბლი (Castanea sativa Mill.) – 229 (ორას ოცდაცხრა) ინდივიდი;

ბ) კაკლის ხე (Juglans regia L.) – 27 (ოცდაშვიდი) ინდივიდი;

გ) კოლხური მუხა (Quercus hartwissiana Stev.) – 197 (ას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ინდივიდი;

დ) უთხოვარი (Taxus baccata L.) – 2 (ორი) ინდივიდი;

ე) მცირენაყოფიანი ბალამწარა (Cerasus microcarpa C. A. Meyer) – 9 (ცხრა) ინდივიდი.

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) მოჭრილი მერქნული რესურსი, დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს სააგენტოს მიღება-ჩაბარების აქტით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**